

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, 13-14, 8.04.1998, გვ. 31) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 168-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹ პუნქტი:

„8¹. თუ ბრალდებული ან განსასჯელი, კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, პროკურორი უფლებამოსილია გირაოს თანხის შემცირების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს წინასწარი გამოძიების ადგილის ან განსჯადობის მიხედვით. აღნიშნულ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, მისი წარდგენიდან 24 საათში. მითითებული შუამდგომლობის წარდგენისა და განხილვისას გამოიყენება ამ პუნქტით და ამავე კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესები.“

2. 523-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში:

ა) დაპატიმრებიდან ან

ბ) სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან ან

გ) პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.“

3. 533-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზედაც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი განსასჯელის დაუსწრებლად გამოიტანა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსჯავრდებულის მოთხოვნის შესაბამისად, სააპელაციო წესით საქმე იხილება მისი მონაწილეობის გარეშე.“

4. 550-ე მუხლს დაემატოს მე-4 ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„4. მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მისი მონაწილეობის გარეშე, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში:

ა) დაპატიმრებიდან ან

ბ) სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან ან

გ) სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს საკასაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.”.

4. 680⁹ მუხლი ამოღებული იქნეს.

მუხლი 2.

მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც პირველი ინსტანციის სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად ამ კანონის ამოქმედებამდე, თუ მას ეს განაჩენი სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია, უფლება აქვს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში და მოითხოვოს სააპელაციო საჩივრის განხილვა მისი მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი